ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–1736

2 აგვისტო 2017წ.

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა №12/იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №14/როდენის ქუჩა №8-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.15.03.013.007, 01.15.03.013.005, 01.15.03.013.008), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 13 ივლისის №28 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა №12/იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №14/როდენის ქუჩა №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.15.03.013.007, 01.15.03.013.005, 01.15.03.013.008), სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=3,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი". TBCBGE22. ანგარიში: GE47TB7002533030100187.) 225 740.2 (ორასოცდახუთი ათას შვიდასორმოცი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საგადახდო დავალება
Payment Order

1508935985

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 25/10/2017

გადამხდელი / Sender

შპს ელიტ ჯგუფი, 406062433

რეფერენსი / Ref. Num.

1786499055

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE76TB7449836080100001

თანხა / Amount

225,740.20 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორას ოცდახუთი ათას შვიდას ორმოცი ლარი და 20 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ელიტ ჯგუფი, 406062433*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 406062433

მიმღები / Receiver

ქ.თბილისის მერია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE47TB7002533030100187

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

25/10/2017

გადახდის დანიშნულება / Operation Details

თანახმად ბრძანება N1-1736 2.08.17 განაშენიანების გაზრდის მოსაკრებელი

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერა
Signature

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ**01.011823435**

თარიღი:**22/08/2018**

„ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა N12/იაკობ ნიკოლაძის N14/როდენის ქუჩა N8-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: 01.15.03.013.007, 01.15.03.013.005, 01.15.03.013.008) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 აგვისტოს N1-1736 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს N67-01182341776 დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა N12/იაკობ ნიკოლაძის N14/როდენის ქუჩა N8-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: 01.15.03.013.007, 01.15.03.013.005, 01.15.03.013.008) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 აგვისტოს N1-1736 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა N12/იაკობ ნიკოლაძის N14/როდენის ქუჩა N8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.013.012) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ი. ნიკოლაძის ქუჩა N12/იაკობ ნიკოლაძის N14/როდენის ქუჩა N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.013.012) სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-1=0.6; კ-2=3.3“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი